



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ექვთიმე III

ექვთიმე III (ეფთჳმე), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV ს. I ნახევარში. გიორგი ბრწყინვალესთან ერთად ენერგიულად შეუდგა მონღოლთა ბატონობის შედეგად დარღვეული სახელმწიფო წესრიგის აღდგენას; მონაწილეობდა საკანონმდებლო დარბაზის მუშაობაში, რ-მაც მთის მოსახლეობისათვის კანონები შეიმუშავა (იხ. „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“). ე. III იღვწოდა მთიულეთ-ხევის მოსახლეობაში შერყეული ქრისტ.-ზნეობრივი ნორმების მოსაწესრიგებლად. ზრუნავდა საზღვარგარეთის ქართ. და არაქართ. ქრისტ. მონასტრების მატერ.-მორალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1334 ე. III-მ პალესტინის საბანშიდის მონასტერს შეწირულება გაუგზავნა. დაახლ. ამავე პერიოდში დაეხმარა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, რისთვისაც მას საუკუნო ალაპი დაუწესეს. მოხსენიებულია სინას მთის მონასტრის სულთა მატეიანეში.

წყარო: ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ.1, თბ., 1963; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

ბ. ლომინაძე
